www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 21 სექტემბერი, 2013 წელი. | №3370 (177) | ფასი 50 თეთრი

„სამოქალაქო სოლიდარობის" სამოქალაქო დაუმოწილებლობა

გუშინ „საზოგადოებრივ მაუწყებელში" ისევ ხმაური იყო. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დაწყებამდე ერთი საათით ადრე, ტელევიზიის შენობასთან „სამოქალაქო სოლიდარობის" წევრები ირაკლი კაკაბაძე, გია კორკოტაშვილი, ასევე პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირები - გიორგი გაბედავა, მელორ ვაჩნაძე, ლევან გოგიჩაიშვილი და მათი თანამოაზრეები მივიდნენ.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

უმცირესობასთან შეთანხმების გარეშე საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება შეუძლებელი ხდება

დათო გამისონია

პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის ვერ-ჩამოყალიბების საკითხი სულ უფრო რეალური ხდება. საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის შეთანხმებით კი, გუშინდელ პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით საკონსტიტუციო ცვლილების პროექტი მიიღეს. პარლამენტმა კონსტიტუციურ შესწორებას მხარი ერთხმად, 112 ხმით დაუჭირა.

კენჭისყრამდე უმცირესობის წევრმა პავლე კუბლაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტი, რომელსაც უმცირესობა მხარს უჭერს, მთავრობის მიმართ პარლამენტის უფლებამოსილების გაზრდას ითვალისწინებს. კუბლაშვილის თქმით, მომავალშიც ყველა ისეთ ცვლილებას, რომელიც ვენეციის დასკვნის თანახმად, პარლამენტის უფლებამოსილების გაზრდის მიზნით მომზადდება, საპარლამენტო უმცირესობა მხარს დაუჭერს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

სირიამ ქიმიურ იარაღზე მონაცემები ჰააგას გადასცა

ივა შილაკაძე

სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა ინტერვიუ მისცა ამერიკულ ტელეარხ „ფოქს ნიუსს". ეს ინტერვიუ დამასკოში 17 სექტემბერს არის ჩაწერილი, ეთერში კი ხუთშაბათს გავიდა. სირიის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მზად არის, საკუთარ ქვეყანაში ქიმიური იარაღი გაანადგუროს, თუმცა ამას შეიძლება, სულ ცოტა, ერთი წელიწადი და, დაახლოებით, მილიარდი დოლარი დასჭირდეს, რადგან ქიმიური იარაღის განადგურება რთული პროცესია.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ცრუ შეტყობინების გამო სანქციები მკაცრდება

გუშინ პარლამენტმა მე-2 და მე-3 მოსმენით მიიღო საქართველოს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში დაგეგმილი ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებისთვის პასუხისმგებლობის ზომა მკაცრდება. თავისუფლების აღკვეთის სანქცია 2-დან 5 წლამდე იზრდება. იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული დამამძიმებელ გარემოებებშია ჩადენილი, თავისუფლების აღკვეთის სანქცია 5-დან 7 წლამდე გაიზრდება.

კანონი არასრულწლოვანების მიმართაც მკაცრდება. თუკი ცრუ შეტყობინების ავტორი არასრულწლოვანია, პასუხისმგებლობა მშობლებს ან მეურვეს ეკისრება და მათ ჯარიმის სახით 1500 ლარის გადახდა მოუწევთ. თუკი არასრულწლოვანმა იგივე ქმედება ერთი წლის განმავლობაში გაიმეორა, ჯარიმა 2500 ლარამდე გაიზრდება.

საკანონმდებლო ცვლილება გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს ამოქმედდება.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე დარწმუნებულია, რომ კანონის ძალაში შესვლა ცრუ შეტყობინებების შეწყვეტას გამოიწვევს. **„არ მგონია, ერთი ასეთი ზარისთვის ვინმეს 7 წლით საპყრობილეში ყოფნა სურდეს,"** - აღნიშნავს კობახიძე.

მანანა კობახიძე იმასაც არ გამორიცხავს, რომ ბოლოდროინდელი შემთხვევები წინასწარ გათვლილი გეგმის ნაწილი იყოს. ვიცე-სპიკერი ნებისმიერ შემთხვევაში ყოფილი ხელისუფლების კვალს ხედავს. **„მართლა მაინტერესებს, ვინ არიან ამ არასრულწლოვნების მშობლები, რა კატეგორიას მიეკუთვნებიან და რა კავშირი აქვთ მათ „ნაციონალურ მოძრაობასთან"**, - შენიშნავს კობახიძე.

საკუთარი ინფორმაცია

ზვიად სიჭინავა: „ევრო 2020-ის მასპინძლობისთვის ჯერ მზად არ ვართ"

გასული კვირის განმავლობაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და გენერალური მდივანი რევაზ არველაძე დუბროვნიკში, უეფას წევრი ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების პრეზიდენტებისა და გენერალური მდივნების სამუშაო შეხვედრაზე იმყოფებოდნენ და თბილისში დღეს, გამთენიისას დაბრუნდნენ.

შეხვედრის მონაწილეებმა ბევრ საინტერესო საკითხზე იმსჯელეს. ერთ-ერთი მთავარი კი ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის რეგიონული პრინციპით ჩატარება და მასპინძელი ქვეყნების ქალაქების განაცხადებისა და წინადადებების მიღება იყო. დიდი სურვილის მიუხედავად, საქართველოს განაცხადი არ შეუტანია. განმარტებისთვის:

ხორვატიიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა სფფ-ის ოფიციალურ ვებგვერდთან კომენტარი გააკეთა.

ზვიად სიჭინავა: „ჩვენ ბევრი რამ გავითვალისწინეთ და განაცხადის შეტანისგან თავი შევიკავეთ. უპირველესად, ანგარიში გავუწიეთ რეგიონულ პრინციპს.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ციფრული სათაგური

ვაჟა ფშაველას „სათაგურის" მიხედვით მულტიმედიური წიგნი შექმნეს

1 აშშ დოლარი	1.6643⇓		
1 ევრო	2.2110⇓		
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓		
1 თურქული ლირა	0.8622⇓		
100 რუსული რუბლი	5.0433⇓		
თბილისი	31°C - 20°C		
ქუთაისი	33°C - 20°C		
ზუგდიდი	32°C - 21°C		
ბათუმი	27°C - 21°C		
ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

აშშ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ ხაზთან საზღვრის გავლებით შეშფოთებულია

რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ადმინისტრაციულ ხაზთან საზღვრის გავლების პროცესით ამერიკის შეერთებული შტატები შეშფოთებულია. სახელმწიფო დეპარტამენტის დავალებით, ამერიკის საელჩო საქართველოში განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

„ძალზე შეშფოთებულნი ვართ რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ადმინისტრაციულ ხაზთან საზღვრის გავლების პროცესით, რომელიც რამდენიმე წლის წინ დაიწყო. სოფლებთან დიცსა და ხურვალეთთან საზღვრის აღმართვის პროცესი ინტენსიური გახდა.

საზღვარი უფრო მეტად აშორებს ოჯახებსა და მეზობლებს და შესამჩნევად უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრებასა და საქმიანობაზე ეკლიანი მავთულის ორივე მხარეს. ადგილობრივ მოსახლეობას ეჭრება გზა ნაკვეთებისკენ. ბავშვებს სასკოლო მეცადინეობაში ეშლებათ ხელი. შეუძლებელი ხდება სასაფლაოებზე მოხვედრა. კვლავ მოვუწოდებთ რუსეთს, მოხსნას ბარიერები იმ პირობების შესაბამისად, რომელთა შესრულება მან 2008 წლის აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით ითავა. მოვუწოდებთ რუსეთს, შეასრულოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებები. მოწოდება გაგრძელდება აქ, საქართველოში და საერთაშორისო სარბიელზე, მათ შორის ჟენევის საერთაშორისო დისკუსიისას. მივესალმებით კონფლიქტების მოგვარებისადმი საქართველოს მთავრობის მშვიდობიან მიდგომას. მოვუწოდებთ ყველა მხარეს, ჩაერთონ აზრიან დიალოგში ვითარებიდან გამოსავლის საპოვნელად“, - აღნიშნულია განცხადებაში.

ბაჩო ახალაია - ხელისუფლებამ კარგად იცოდეს, გამამტყუნებელი განაჩენი მე არაფერს დამაკლებს

„მინდა, ხელისუფლებამ კარგად იცოდეს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი მე არაფერს დამაკლებს,“ - ამის შესახებ თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია „ფეისბუქის“ ვებგვერდზე წერს. ბაჩო ახალაიას განცხადებას, რომელიც „ფეისბუქზე“ გამოქვეყნდა, „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

„ბოლო ათი თვეა, გრძელდება პროკურატურის მიერ დადგმული ტრაგიკომედია ჩემთან დაკავშირებით. მათ ძალა არ დაიშურეს, გამოიყენეს ყველა აკრძალული მეთოდი, მათ შორის ადამიანების დაშინება, შანტაჟი, მოსყიდვა, ჩვენებების ფალსიფიცირება, რათა საზოგადოება დაერწმუნებინათ, რომ მე ვიყავი კრიმინალი. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა ეს ბრალდება საპნის ბუშტივით გასკდა, ვინაიდან ემყარებოდა ტყუილს და სიცრუეს. დღეს პროკურატურას შემორჩა ერთადერთი ბრალდება, სადაც 6 კრიმინალური ავტორიტეტი ბრალს მდებს მათთვის პრივილეგიების, ციხის მართვის სადავეების ჩამორთმევაში. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც 2005 წლამდე მართავდნენ არა მხოლოდ ციხეებს, არამედ მთელს ორგანიზებულ დანაშაულს ქვეყანაში. აქაც უსუსურ პროკურატურას არაფერი დარჩა, გარდა იმისა, რომ კბილაშვილს პროკურორი გადაემალა და ამით როგორმე გაეხანგრძლივებინა ჩემი პატიმრობა. მე საქართველოში დავბრუნდი, რათა საზოგადოებაში არსებული კითხვებისთვის გამეცა პასუხი. ერთი რამ ცხადია, პროკურატურას ჩემი პასუხების ეშინია. ეს საქმე არ არის ჩემ წინააღმდეგ, ეს არის კანონიერი ქურდების რევანშის მცდელობა სახელმწიფოს წინააღმდეგ. მინდა, ხელისუფლებამ კარგად იცოდეს, აქ გამამტყუნებელი განაჩენი მე არაფერს დამაკლებს, მე მაინც თვალს გავუსწორებ თანამოქალაქეებს, რადგან წვლილი შევიტანე ორგანიზებული დანაშაულის განეიტრალებაში. მე ვწუხვარ, რომ ეს იქნება სახელმწიფოს მარცხი დანაშაულის წინაშე და შეიძლება, ეს გახდეს შეუქცევადი პროცესი. ხელისუფლებამ კი ამ ყველაფრით დაადასტურა, რომ მოქმედებს არა ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, არამედ იმართება შურისძიების სურვილით და ბოღმით,“ - ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს პარლამენტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს 1992-1995 და 2004-2008 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრის **კონსტანტინე ბერიძის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

უმცირესობასთან შეთანხმების გარეშე საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება შეუძლებელი ხდება

პირველი გვერდიდან

კენჭისყრის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა პარლამენტარებს საკონსტიტუციო ცვლილების მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მანვე იმედი გამოთქვა, რომ მომავალში საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებისას პარლამენტში პროცესები ასეთივე სახით წარიმართება. „ვინაიდან კონსტიტუცია მხოლოდ ერთი პარტიის დოკუმენტი არ არის,“ - დასძენს უსუფაშვილი.

პირველი მოსმენით მიღებული პროექტი კონსტიტუციის 2010 წლის მოდელში (რომელიც ახლად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე ამოქმედდება) იმ ნორმის გაუქმებას ითვალისწინებს, რომლის თანახმად, მთავრობას უფლება აქვს, პარლამენტს კანონპროექტი შესთავაზოს და მას მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი დაურთოს. კონსტიტუციის თანახმად, თუ პარლამენტი ამ კანონს არ მიიღებს, მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადების პროცედურა ავტომატურად დაიწყება. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი მთავრობისთვის უნდობლობის

გამოსაცხადებლად საკმარის ხმებს ვერ მოაგროვებს, კანონი პარლამენტის დამტკიცების გარეშე, პრემიერის ხელმოწერით ამოქმედდება. ამჟამად მომზადებული პროექტი აღნიშნული დებულების გაუქმებას ითვალისწინებს.

პროექტის მიხედვით, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი მხოლოდ ბიუჯეტის პროექტის მიღებას შეიძლება დაერთოს.

ოთხშაბათს გამართულ პლენარულ სხდომაზე უმცირესობის წევრები აღნიშნული პროექტის მხარდაჭერას უმრავლესობას მხოლოდ იმის სანაცვლოდ ჰპირდებოდნენ, თუ საკონსტიტუციო ცვლილებისთვის საჭირო კვორუმის სამიმეოთხედიდან (რომელიც 2010 წლის მოდელთან ერთად ამოქმედდება) ორ-მესამედამდე დაწევის საკითხს დღის წესრიგში არ შეიტანდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა დღის წესრიგში კვორუმის დაწევის საკითხის შეტანას მიმდინარე კვირას გეგმავდა, პროექტი არათუ გუშინდელი სხდომის განსახილველ საკითხთა შორის მოხვდა, არამედ, როგორც პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, ინიციატივა პარლამენტის დღის წესრიგიდან დროებით მოიხსნა.

ზურაბ აბაშიძე, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვების საორგანოზაციო კომისიას ხელმძღვანელობდა, ამბობს, რომ კვორუმის დაწევის თემაზე პარლამენტი ვენეციის კომისიის რეკომენდაციას დაელოდება, რომელიც სავარაუდოდ, ოქტომბრის დასაწყისში იქნება ცნობილი.

პროცედურის მიხედვით კი, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე პარლამენტი პლენარული სხდომების ჩატარებას დროებით წყვეტს. როგორც დავით უსუფაშვილმა რამდენიმე დღის წინ ბიუროს სხდომაზე დააზუსტა, პარლამენტში პლენარული სხდომა 4 ოქტომბრის შემდეგ არ გაიმართება. ეს კი საკონსტიტუციო კვორუმის დაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას ტექნიკური თვალსაზრისითაც არარეალურს ხდის.

ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტებიდან ასევე ღიად რჩება ორმაგი მოქალაქისთვის პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავების აკრძალვის საკითხი. **„ამ ინიციატივამ საჯარო განხილვებზე საზოგადოების სათანადო მხარდაჭერა ვერ მოიპოვა,“** - აღნიშნავს ზურაბ აბაშიძე.

უცნობია პარლამენტის მდებარეობასთან დაკავშირებული პროექტის ბედი, რომელიც კონსტიტუციაში იმ ნორმის გაუქმებას ითვალისწინებს, სადაც საკანონმდებლო ორგანოს ადგილსამყოფელად ქალაქი ქუთაისია მითითებული.

არჩილ კბილაშვილმა მოსკოვში პროკურორთა საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა

საქართველოს მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი ოთხდღიანი ვიზიტით მოსკოვში იმყოფებოდა, სადაც პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის ყოველწლიური კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა.

კონფერენციას რუსეთის გენერალურმა პროკურორმა იური ჩაიკამ უმასპინძლა და რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინიც უნდა დასწრებოდა, თუმცა იგი, გაურკვეველი მიზეზით, ღინისძიებაზე აღარ მივიდა.

კონფერენციის მუშაობაში სულ 800-მდე პირი, მათ შორის სხვადასხვა ქვეყნების მთავარი პროკურორები და მთავარი პროკურორების მოადგილეები მონაწილეობდნენ.

კონფერენციაზე, ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივებთან ერთად, ტერორიზმის, ნარკოდანაშაულის, ექსტრემიზმის და ადამიანთა ვაჭრობის საკითხები განიხილეს.

საქართველოს მთავარი პროკურატურის პრესმდივან ხათუნა პაიჭაძის განცხადებით, კონფერენცია, დაახლოებით, ერთი კვირის წინ ჩატარდა და არჩილ კბილაშვილი უკვე თბილისშია.

„ეს იყო პროკურორების საერთაშორისო დონის კონფერენცია, რომელიც ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნებში იმართება. წელს კონფერენცია მოსკოვში გაიმართა და 100-ზე მეტი ქვეყნიდან მთავარი პროკურორები ან მათი მოადგილეები მონაწილეობდნენ, მათ შორის აშშ-დან და ევროპის ქვეყნებიდან,“ - აღნიშნა ხათუნა პაიჭაძემ.

პრესმდივნის თქმით, რამდენადაც მისთვის არის ცნობილი, არჩილ კბილაშვილს, პროკურორების გარდა, მაღალი რანგის პირებთან შეხვედრები არ გაუმართავს. პაიჭაძე ამბობს, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი ორი წლის წინათ გახდა.

კბილაშვილის მოსკოვში ვიზიტს, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე, საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით საყვარელიძე სოციალური ქსელის მეშვეობით გამოეხმაურა.

„ბატონ არჩილ კბილაშვილს განუცხადებია: მერე რა მოხდა, მოსკოვში პროკურორების კონფერენციაზე რომ წავედიო, ასეთი კონფერენციები ხშირად ტარდებოდაო და სულ დადიოდნენ ჩემამდეო. თუ საუბარია პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებზე, მინდა, საზოგადოებას ვაცნობო, რომ მთავარი პროკურორის მოადგილედ მუშაობის პერიოდში მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც სახელმწიფო ხარჯით გახლდით ინდონეზიაში, ისიც იმიტომ, რომ გამომეყენებინა შესაძლებლობა და გამეცნო მალაიზიელი ჩემი კოლეგა და როგორღაც გადაგვერჩინა ჩამოხრჩობას ჩვენი ორი მოქალაქე ბაბუცა გორდაძე და დარეჯან კოხტაშვილი, რაც წარმატებით შევძელით! მეორედ გახლდით ყაზახეთში, თავად ყაზახი კოლეგების და მეგობრების მიწვევით, ასევე მათი ხარჯებით, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ კოლეგებს გავაცანი საქართველოში დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ მიღწეული წარმატებები და მას შემდეგ პირადი და საკმაოდ თბილი განწყობა და ურთიერთობა დავამყარე ბევრი სახელმწიფოს გენერალურ პროკურორთან,“ - წერს საყვარელიძე.

დეპუტატი ასევე აღნიშნავს, რომ არჩილ კბილაშვილი მოსკოვში სახელმწიფო ხარჯებით გასეირნებას და საკუთარი ბიზნესინტერესების ლობირებას კონფერენციაზე დასწრების აუცილებლობად ასაღებს.

„ასევე გაცნობებთ, რომ პროკურორების საერთაშორისო ასოციაცია არის კლუბის ტიპის ორგანიზაცია, და არათუ ოკუპანტი სახელმწიფოს გენერალური პროკურატურის, არამედ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ამ ასოციაციის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე დასწრება დამოკიდებულია წევრის ან არაწევრის ნება-სურვილზე. გასაკვირია, სად არის ეროვნული ღირსების ან საქართველოს მთავარი პროკურორის მუნდირის პრესტიჟი, როდესაც მიბრძანდება სტუმრად და სასეირნოდ იმ სახელმწიფოს გენერალურ პროკურორთან, რომელმაც საქმე აღძრა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ეთნოწმენდის და ადამიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ბრალდებით, რომლის პოლიტიკოსმა თანაგუნდელებმა აღიარეს აფხაზეთის და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა და დღემდე დაკავებული არიან მავრთულხლართების გაბმით საოკუპაციო ხაზის გასწვრივ!!! თავის მოსკოვში სახელმწიფოს ხარჯზე გასეირნებას (არ არის გამორიცხული, რუსეთში საკუთარი ბიზნესინტერესების ლობირებასაც) ბატონი არჩილ კბილაშვილი, თურმე, საერთაშორისო კონფერენციაზე დასწრების აუცილებლობად და ჩვეულებრივ მივლინებად ასაღებს,“ - ამბობს საყვარელიძე.

ამასთან, გუშინ ინტერნეტ-გამოცემა „ზონა News“-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ არჩილ კბილაშვილი მოსკოვში საქართველოდან წლების წინ გაქცეულ პოლიტიკოსებს, მათ შორის აჭარის უმაღლესი საბჭოს ყოფილ თავმჯდომარე ასლან აბაშიძეს შეხვდა. თუმცა, აღნიშნულ ინფორმაციას მთავარი პროკურატურა არ ადასტურებს.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

„სამოქალაქო სოლიდარობის“ სამოქალაქო დაუმორჩილებლობა

პირველი გვერდიდან

სხდომაზე, რომელიც 17:00 საათზე უნდა დაწყებულიყო, სხვა საკითხებთან ერთად, რამდენიმე დღის წინ გათავისუფლებული ჟურნალისტების - ეკა კვესიტაძისა და დავით პაიჭაძის საკითხი უნდა განეხილათ.

16:00 საათიდან აქციის მონაწილეებმა ტელევიზიის შესასვლელის ბლოკირება მოახდინეს და ჟურნალისტი დავით პაიჭაძე შენობაში შეძახილებით შეაცილეს.

„არ მგონია, გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს საკუთარ თანამშრომლებთან ლაპარაკისთვის ასეთი შემაგრება სჭირდებოდეს,“ - განაცხადა დავით პაიჭაძემ.

ეკა კვესიტაძე კი გუშინ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ არ მისულა. **„შენობაში ე.წ. პოლიტპატიმრები შევიდნენ. მე, რა თქმა უნდა, ზუსტად ვიცი, იქ რა მოხდებოდა. ჩემი იქ მისვლის შემთხვევაში იაფფასიანი შოუ იქნებოდა და არანაირი შეხვედრა არ შედგებოდა,“** - აღნიშნა კვესიტაძემ.

თუმცა, შოუს მოწყობა აქციის მონაწილეებს ეკა კვესიტაძის მისვლის გარეშეც არ გასჭირვებიათ - მათ ტელევიზიის შენობას ფეკალიები ესროლეს.

„ფეკალიები ტელევიზიის მისამართით“ მას შემდეგ დაიწყო, რაც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ემზარ გოგუაძემ ირაკლი კაკაბაძეს და მის თანმხლებ პირებს სხდომაზე დასწრების უფლება არ მისცა. ემზარ გოგუაძის განმარტებით, სხდომას, საბჭოს წევრებისა და მაუწყებლის მენეჯმენტის გარდა, ვერავინ დაესწრება და გამონაკლისი ვერავისთვის დაიშვება.

გოგუაძის ამ განცხადებას „სამოქალაქო სოლიდარობის“ მხრიდან „სამოქალაქო დაუმორჩილებლობა“ მოჰყვა, რაც ტელევიზიის შენობისთვის ფეკალიების სროლით გამოიხატა.

„ჩვენ ახლა ორგანზებულად შემოვაყრით ფუნას ამ ორგანიზაციას. ეს ორგანიზაცია და მისი ბორდელები ქართველი ხალხისგან ფუნას იმსახურებს. ახლა ამ განზრახვის განხორციელებას ვიწყებთ და ცხოვრებაში მივდივართ,“ - განაცხადა ირაკლი კაკაბაძემ.

„დღეს ნაციონალმა ბორდელებმა ხალხთან დიალოგი არ ისურვეს. აქედან გამომდინარე, ისინი ფუნას იმსახურებენ,“ - ყვიროდა კაკაბაძე და შენობას ფეკალიებს ესროდა.

„სამოქალაქო სოლიდარობის“ ერთ-ერთი წევრის გია კორკოტაშვილის განცხადებით კი, მათ სურდათ, კითხვები „ცოცხლად დაესვათ“, მაგრამ ამის საშუალება არ მისცეს.

„გამოყვეს ოთახი, სადაც ჩვენ შეგვეძლო, მონიტორზე გვეყურებინა, თუ როგორ მიდიოდა ბორდის სხდომა. ჩვენ ავუხსენით, რომ გვინდა, კომუნიკაციის საშუალება მოგვეცეს, გვინდა, იქ ვისხდეთ, სადაც სხდომა მიმდინარეობს, რათა პირდაპირ, ცოცხლად ვკითხოთ, თუ რამე კითხვა დაგვებადა,“ - განაცხადა გია კორკოტაშვილმა.

საბოლოოდ, ირაკლი კაკაბაძემ ტელევიზიის მიმდებარე ტერიტორია დატოვა, გია კორკოტაშვილი და აქციის რამდენიმე მონაწილე კი სხდომის მიმდინარეობას სპეციალური მონიტორით ადევნებდნენ თვალს.

თუმცა ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნეოდა, საბჭოს გუშინ საერთოდ არ განუხილავს. ეკა კვესიტაძის და დავით პაიჭაძის საკითხი გუშინდელი სხდომის დღის წესრიგიდან ამოიღეს.

სამაგიეროდ, არხის საეთერო ბადე განიხილეს და გადაწყვეტილება მიიღეს, რომ ეკა მიშველაძის პოლიტიკური თოქ-შოუ ეთერში კვირა დღეს გავა. ამ ფაქტს ჟურნალისტის მხრიდან პროტესტი მოჰყვა. მისი თქმით, დაგეგმილი იყო, რომ შოუ ეთერში ხუთშაბათს გავიდოდა.

„ჩემთვის საკვირველი იყო ის, რაც სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან მოვისმინე. მთავარი პოლიტიკური თოქ-შოუს კვირა დღეს გაშვება მართებული არ არის და ეს რეიტინგს აუცილებლად დაუგდებს. იმედი მაქვს, ყველა კომპეტენტურ პირს შევხვდები და ორივე მხარისთვის მისაღებ გადაწყვეტილებაზე შევთანხმდებით,“ - აღნიშნა მიშველაძემ.

ამასთან, ეკა მიშველაძის თოქ-შოუს გარდა, „პირველ არხზე“ კიდევ ორი თოქ-შოუ გავა, რომლებსაც ნანა ლეჟავა და ეკა ბერიძე წაიყვანენ. თუმცა, მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ თამაზ ტყემალაძის განმარტებით, ეკა ბერიძის შესახებ საბოლოო პასუხი, სავარაუდოდ, 21 სექტემბერს, დილით გახდება ცნობილი.

სხდომაზე სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ნაწილის პროტესტი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ერთ-ერთი თოქ-შოუს წამყვანად, რომელიც საგამოძიებო თემატიკას შეეხება, ნანა ლეჟავა მოიაზრება. საბჭოს რამდენიმე წევრმა აღნიშნა, რომ ნანა ლეჟავა ერთ-ერთ პოლიტიკურ პარტიაზე მუშაობდა და გადაცემის წამყვანის როლში ლეჟავას ობიექტურობა ეჭვქვეშ დგება.

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, რომ თავადაც და არხის მენეჯმენტიც სრულიად დარწმუნებულნი არიან ნანა ლეჟავას ობიექტურობაში და **„ნანა ლეჟავა არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ემსახურება.“**

მექსიკაში სტიქიის მსხვერპლი იზრდება

ივა შილაკაძე

ამერიკის კონტინენტისთვის შტორმი უცხო ხილი არ არის, თუმცა წელს მექსიკას ორი გრიგალი ერთდროულად დაატდა თავს - „ინგრიდი“ აღმოსავლეთიდან, ატლანტის ოკეანედან და „მანუელი“ დასავლეთიდან, წყნარი ოკეანედან. მოკლედ ამის შესახებ უკვე წერდა „24 საათი“. ასეთი რამ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, არ მომხდარა. ბოლო ორმაგი დარტყმა მექსიკამ 1958 წელს მიიღო. თან შტორმების წლევანდელ სეზონში, რომელიც ატლანტიკაში ტრადიციულად 1 ივნისიდან 30 ნოემბრამდე გრძელდება, მექსიკას ქარიშხალმა უკვე მეორედ შეუტია. ამ დროისთვის უკვე დაფიქსირებული მსხვერპლის რაოდენობა 100 ადამიანს მიუახლოვდა. გუშინდელი მონაცემებით დაღუპულია 97 ადამიანი, თუმცა თუ უკვალოდ დაკარგულთა დიდ რაოდენობას გავითვალისწინებთ, მსხვერპლის რიცხვი 100-ს მნიშვნელოვნად გადააჭარბებს.

მექსიკის ჩრდილო-დასავლეთით, წყნარი ოკეანის სანაპიროსთან ახლოს მდებარე სოფელი ლა პინტადა მეწყერში, ფაქტობრივად, დაიმარხა. იქ ჯერ მხოლოდ 15 ადამიანის ცხედარია ნაპოვნა, კიდევ 70 უკვალოდ დაკარგულად მიიჩნევა. გრიგალმა ჩრდილოეთისკენ გადაინაცვლა და შტატ სინალოას მოსახლეობის დიდი ნაწილი აიძულა, საცხოვრებელი სახლები დაეტოვებინათ. მას შემდეგ, რაც ხმელეთს დაატყდა თავს, „მანუელმა“ კოკისპირული წვიმები, წყალდიდობები და ქარი გამოიწვია, რომლის სიჩქარეც საათში 120 კილომეტრზე მეტია. ამ რაიონში დახურულია სკოლები. შტატის გუბერნატორ მარიო ლოპეს ვალდესის სიტყვებით, სტიქიამ მხოლოდ ამ შტატში, სხვადასხვა ფორმებით, 100 ათას ადამიანზე მეტი დაზარალა. სინალოასა და გერეროს შტატებში, დაახლოებით, 40 ათასი ადამიანი ბლოკირებულია ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიისგან. მთლიანად კი ქვეყანაში ორივე ქარიშხლისგან დაზარალებულად 1,2 მილიონი ადამიანი მიჩნევა. ეს ციფრები სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის კოორდინატორმა გაავრცელა.

„მანუელის“ ძალა ნელ-ნელა კლებულობს და ის ამ შაბათ-კვირას ალბათ გაქრება, მაგრამ ზოგადად მექსიკაში ამინდი არ უმჯობესდება. სინოპტიკოსთა პროგნოზით, მექსიკის სამხრეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში ახალი შტორმიც მოსალოდნელია.

„მანუელი“ თავიდან კლასიფიცირებული იყო, როგორც შტორმი, თუმცა შემდეგ მისი სისწრაფე გაიზარდა და მას გრიგალი ეწოდა. შეერთებული შტატების ქარიშხლების კვლევის ეროვნული ცენტრის თანახმად, ატმოსფერული მოვლენა შტორმის კლასიფიკაციას იღებს, როდესაც ქარის სიჩქარე წამში 17,5 მეტრს მიაღწევს. მას სახელიც ამ დროს ენიჭება. თუ ქარის სიჩქარე წამში 33 მეტრს გადააჭარბებს, მაშინ ის უკვე გრიგალი ხდება.

ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპიროსთან მდებარე შტატებში კი „ინგრიდი“ მძვინვარებს, რომელსაც თავიდანვე გრიგალის „სტატუსი“ ჰქონდა. სტიქიამ მნიშვნელოვნად დააზარალა რამდენიმე შტატი, მათ შორის გერერო, სინალოა, ვერაკრუსი, იდალგო, ოახაკა და პუებლა. ქარიშხლებმა და კოკისპირულმა წვიმებმა ბევრგან მეწყერი და ღვარცოფი გამოიწვია. დაზიანებულია როგორც საცხოვრებელი სახლები - ათეულ ათასობით შენობა, ასევე კომუნიკაციები.

ჯერ კიდევ კვირის დასაწყისში სტიქიამ განსაკუთრებით დააზარალა ცნობილი საკურორტო ქალაქი აკაპულკო. იქ სიტუაციის ადგილზე შესასწავლად ქვეყნის პრეზიდენტი ენრიკე პენია ნიეტოც ჩავიდა. ამ ქალაქში დაკარგული 58 ადამიანის ბედი დღემდე უცნობია. პრეზიდენტის სიტყვებით, მაშველები ხალხის ძებნას განაგრძობენ. მან ზოგადად ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა შეაფასა, როგორც „კატასტროფული“.

უბედურების ზონიდან ხალხის ევაკუაცია ჯერ კიდევ სამშაბათს დაიწყო. ორივე საავტომობილო გზა, რომლებიც კურორტს მეხიკოსთან აკავშირებს, ქვებით და სილით არის ჩახერდილი, ამიტომ აკაპულკოდან 49 ავიარეისით 5300 ადამიანი გამოიყვანეს, თუმცა იქ გუშინ ჯერ კიდევ რჩებოდა, დაახლოებით, 55 ათასი ტურისტი. ისინი, ძირითადად, სამხედრო თვითმფრინავებით გამოჰყავთ, თუმცა ამინდის გამო პერიოდულად ამ საჰაერო რეისების გადადებაც უწევთ.

გიორგი კვირიკაშვილი - საქართველოს ეკონომიკა იზრდება

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, საქართველოს ეკონომიკა იზრდება. „რა თქმა უნდა, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში გაცილებით მაღალი პროგნოზირებადობა იქნება და ამას ძალიან ბევრი ბიზნესი ელოდება, თუმცა ის, რომ ჩვენ გვაქვს რეალური ზრდა, ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს ეკონომიკა იზრდება და არა - მცირდება, როგორც ამას ჩვენი ოპონენტები ამბობენ. დღევანდელი ვითარებით, დადასტურებული მონაცემებით, ორი კვარტლის შედეგების მიხედვით ფიქსირდება 1,09-პროცენტიანი ზრდა. ჩვენ ზრდას ველოდებით ბოლო კვარტალშიც, აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ წლის ბოლოსთვის 2,5-3 პროცენტამდე ზრდაა მოსალოდნელი. არ ვამბობ, რომ ეს ძალიან კარგი მაჩვენებელია, ჯობდა, 6-პროცენტიანი მოლოდინი შესრულებულიყო, თუმცა ეს მაინც მნიშვნელოვანია,“ - განუცხადა კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს ბიზნესის განვითარების პირველ საერთაშორისო ფორუმზე, რომელიც „ექსპო ჯორჯიაში“ გუშინ თავად გახსნა.

მისივე განმარტებით, მომავალი წელი გაცილებით უკეთესი იქნება და ამის თქმა დანამდვილებით შეუძლია.

„ძალიან მკვეთრი პრიორიტეტები უნდა ავირჩიოთ და მიზანმიმართული კამპანია ჩავატაროთ, რაც, სამწუხაროდ, წინა წლებში არ კეთდებოდა. ჩვენ კონკრეტულ პრიორიტეტებზე უნდა დავხარჯოთ მთელი ძალისხმევა,“ - აღნიშნა მინისტრმა.

ვალერი კატუკოვი - ქართული ღვინო მოსკოვში, იტალიური და ფრანგული ღვინოების შემდეგ, ყველაზე მოთხოვნადია

ქართული ღვინო მოსკოვში, მოთხოვნის კუთხით, იტალიური და ფრანგული ღვინოების შემდეგ მესამეა, - ამის შესახებ საქართველოში მყოფმა „როსპოტრებნადზორთან“ არსებული ალკოჰოლური პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების კონტროლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ვალერი კატუკოვმა განაცხადა.

იგი საქართველოში ორშაბათიდან იმყოფებოდა და „როსპოტრებნადზორის“ სპეციალისტების მესამე ჯგუფთან ერთად რუსეთში გუშინ გაემგზავრა.

როგორც კატუკოვი ამბობს, რუსი სპეციალისტების მესამე ჯგუფი ქართული ღვინის ხარისხით „სასიამოვნოდ გაოცებული დარჩა.“

„ჩემი ინფორმაციით, „როსპოტრებნადზორის“ ჯგუფსაც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დარჩა. სასიამოვნოდ გაოცებულები ვართ, რამდენი რამის გაკეთება შეძლეს ქართულმა საწარმოებმა მოკლე პერიოდში,“ - განაცხადა კატუკოვმა.

მისივე თქმით, რუსეთში ხარისხიანი ქართული ღვინო მოთხოვნადია და ამაში ისინი მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად კიდევ უფრო დარწმუნდნენ.

„მთელ რუსეთზე ვერ ვიტყვი, რადგან ჯერ ყველგან არ შესულა ქართული ალკოჰოლური სასმელები, მაგრამ მოსკოვში და მის შემოგარენში ქართული ღვინო მოთხოვნადია,“ - განაცხადა კატუკოვმა.

ამასთან, როგორც მან აღნიშნა, ახლა მთავარია ხარისხის შენარჩუნება, რადგან არის სახიფათო სიგნალები, რომ ძირითადად ხარისხიან პროდუქციას შორის შესაძლოა, უხარისხო სასმელიც აღმოჩნდეს.

„მე არ მინდა, ეს კომპანიები დავასახელო და არ მინდა, კოლეგები გავანაწყენო, მაგრამ „როსპოტრებნადზორის“ მოთხოვნა, ხარისხი მაღალი იყოს, ყველა საწარმოს ერთნაირად ეხება. პროდუქციის ხარისხი საწარმოს მფლობელის სინდისზეა. არ მინდა, განმეორდეს ის სიტუაცია, რაც მოლდავურ ღვინოს შეექმნა, როდესაც არაერთი გაფრთხილების შემდეგ „როსპოტრებნადზორი“ იძულებული გახდა, მოლდავური ღვინის შეტანა შეეჩერებინა. მე არ მინდა, საქართველოს მიმართა ანალოგიური მოხდეს, თუმცა ვფიქრობ, საქმე აქამდე არ მივა, რადგან საქართველოში გამართული შეხვედრების შემდეგ დავრწმუნდი, რომ ქართველი მეწარმეები ხარისხს სერიოზულად უდგებიან,“ - განაცხადა კატუკოვმა.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საწარმოს პროდუქცია ხარისხს არ დააკმაყოფილებს, მათ პროდუქციას უკან დააბრუნებენ.

რუსი სპეციალისტის განცხადებით, ქართული ალკოჰოლური სასმელების რუსულ ბაზარზე დაბრუნების საკითხს „როსპოტრებნადზორი“ და მთლიანად რუსეთის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს და ამის დასტურია ის, რომ საქართველოში ქართული საწარმოების შესამოწმებლად „როსპოტრებნადზორის“ ყველაზე მაღალი დონის სპეციალისტები გამოგზავნეს.

პუტინი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ გამორიცხავს

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ხუთშაბათ საღამოს განაცხადა, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მეოთხედ მონაწილეობას არ გამორიცხავს. „მე არ გამოვრიცხავ," - თქვა რუსეთის პრეზიდენტმა საფრანგეთის ყოფილ პრემიერ ფრანსუა ფიიონთან საუბრისას ვალდაის კლუბში, სადაც პასუხად ფრანსუა ფიიონმა ასევე ილაპარაკა საკუთარ საპრეზიდენტო ამბიციებზე. თუმცა პუტინმა, დაახლოებით, ნახევარი საათის შემდეგ თქვა, რომ ამაზე საუბარი ნაადრევია. პრეზიდენტის პრესმდივანმა დმიტრი პესკოვმა კი გუშინ ამ საკითხის კომენტირებისას განაცხადა, რომ ფიიონმა მას უდროო და არააქტუალური კითხვა დაუსვა: პუტინმა „რიტორიკულ შეკითხვაზე შესაბამისი პასუხი გასცა," - დაამატა პესკოვმა.

იემენის სამხედრო ბაზაზე თავდასხმას ოცი ადამიანი შეეწირა

იემენის სამხრეთით მდებარე სამხედრო ბაზაზე შეიარაღებული მებრძოლების თავდასხმას, სულ მცირე, ოცი ადამიანი ემსხვერპლა. გავრცელებული ინფორმაციით, ბაზასთან ორი დანაღმული მანქანა აფეთქდა. ამ დრომდე თავდასხმაზე პასუხისმგებლობა არც ერთ დაჯგუფებას არ აუღია. იემენში აქტიურად მოქმედებს „ალ-ქაიდა არაბეთის ნახევარკუნძულზე", რომელიც სამხედროებზე თავდასხმას ხშირად აწყობს.

ნიგერიაში ისლამისტმა რადიკალებმა 87 ადამიანი მოკლეს

ნიგერიის შტატ ბორნოში „ბოკო ჰარამის" შეიარაღებულმა მებრძოლებმა ბლოკპოსტი ჩაიგდეს ხელში, სადაც 87 ადამიანი ამოხოცეს. ხუთშაბათს ტრაგედიის ადგილზე შტატის გუბერნატორი ქაშიმ შეტეიმი მივიდა, რომელმაც მომხდარს „ბარბაროსობა" უწოდა, იგი დაღუპულთა ოჯახებს მატერიალურ დახმარებას დაჰპირდა. შემთხვევა 17 სექტემბერს მოხდა. როგორც აღნიშნავენ, ეს შეიძლება, „ბოკო ჰარამის" რეაქციაა 12 სექტემბერს მთავრობის მიერ განხორციელებულ სამხედრო ოპერაციაზე, რის შედეგადაც 150 შეიარაღებული მებრძოლი და არმიის 16 ჯარისკაცი დაიღუპა.

დევიდ კამერონს ფოტო გადაუღეს, სადაც მას წითელ ჩემოდანთან ერთად სძინავს

ბრიტანულ მედიაში ქვეყნის პრემიერ-მინისტრ დევიდ კამერონის ფოტო გავრცელდა, სადაც მას საწოლზე წითელ ჩემოდანთან ერთად სძინავს. ფოტო კამერონის ცოლის დის ელის შეფილდის გადაღებულია. წითელი ჩემოდნის გამო, რომლითაც პრემიერს საიდუმლო დოკუმენტები დააქვს, კამერონი ცოტა ხნის წინ გააკრიტიკეს - ორი კვირის წინ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში ფოტო გავრცელდა, სადაც ეს ჩემოდანი მატარებლის მაგიდაზე დაცვის გარეშე დევს. კამერონი მაშინ უპასუხისმგებლობასა და უსაფრთხოების ელემენტარული წესების დარღვევაში დაადანაშაულეს.

ევროკომისარი: უკრაინა-ევროკავშირის შეთანხმება რუსეთისთვის ხელსაყრელია

ევროკავშირთან უკრაინის ასოციაციის შეთანხმება, რომლის ხელმოწერაც ნოემბერში იგეგმება, არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ რუსეთისთვისაც ხელსაყრელია, - თქვა ევროკომისარმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფიულემ. თუმცა, ასე არ ფიქრობს რუსეთი, რომელმაც ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ თუ ევროკავშირი და უკრაინა თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ შეთანხმებას გააფორმებენ, რუსეთი იძულებული გახდება, საკუთარი ბაზარი დაიცვას.

მოამზადა თამთა კახაძემ

სირიამ ქიმიურ იარაღზე მონაცემები ჰააგას გადასცა

დასავლეთი და რუსეთი კი გაეროს რეზოლუციის შინაარსზე კვლავ ვერ თანხმდებიან

პირველი გვერდიდან

ასადის სიტყვებში სხვა მნიშვნელოვანი სიახლე არ ყოფილა. სირიის პრეზიდენტმა თქვა, რომ ანგარიში გაუწია რუსეთის ინიციატივას და არა აშშ-ს მუქარას, რადგან ამერიკა, უბრალოდ, სირიაზე დარტყმისთვის ემზადებოდა და სირიის მიმართ ქიმიური იარაღის განადგურების მოთხოვნა არც ჰქონია. ასადმა კვლავ გაიმეორა, რომ მის არმიას ქიმიური იარაღი არ გამოუყენებია და ეს ამბოხებულებმა გააკეთეს. მისი სიტყვებით, ეს იყო პროვოკაცია დასავლეთის ომში ჩასათრევად და ამ პროვოკაციაში ამბოხებულებს დასავლეთის სპეცსამსახურები ეხმარებოდნენ.

ასადმა აღნიშნა, რომ სირიაში გაეროს ინსპექტორების დაბრუნების პერსპექტივას მიესალმაება და მათ იქ, პრეზიდენტის სიტყვებით, კიდევ ბევრი შემთხვევა აქვთ გამოსაძიებელი.

გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმაც განაცხადა, რომ რუსეთი გაეროს გადასცემს სირიისგან მიღებულ მასალებს, რაც ქიმიურ შეტევაში ამბოხებულების დანაშაულს ამტკიცებს. რუსეთი ამ ვერსიას ჯიუტად იმეორებს და აცხადებს მზადყოფნას, აღნიშნულის სისწორეში გაეროც დაარწმუნოს.

ხუთშაბათსვე ვალდაის კლუბში გამოსვლისას რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ სირია დაეთანხმა რუსეთის ინიციატივას ქიმიური იარაღის განადგურების შესახებ, დამასკომ გაეროში ოფიციალური მოთხოვნაც გაგზავნა ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ საერთაშორისო კონვენციასთან მისაერთებლად. სირია უკვე კონვენციასთან მიერთებულად მიიჩნევს თავს, (პროცედურების ოფიციალურად გავლას ერთი თვე სჭირდება და ეს პროცესი 14 ოქტომბერს სრულდება, ამაზე უკვე წერდა „24 საათი"). თუმცა პუტინის თქმით, ის ვერავის მისცემს ასპროცენტიან გარანტიას, რომ სირიის პრეზიდენტი სიტყვას შეასრულებს. რუსეთის პრეზიდენტმა, უბრალოდ, აღნიშნა, რომ დღეს მას მოვლენების განვითარება პროცესის ბოლომდე მიყვანის იმედს აძლევს.

პარასკევს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ კიდევ ერთხელ მკაფიოდ განაცხადა, რომ გაეროს უშიშროების საბჭო მზად უნდა იყოს ისეთი რეზოლუციის მისაღებად, რომელიც სირიას ქიმიური იარაღის განადგურებას დაავალდებულებს. სახელმწიფო მდივნის თქმით, გაეროს დასკვნები არაორაზროვნად მიანიშნებს იმაზე, რომ ქიმიური იარაღი მთავრობის ერთგულმა არმიამ გამოიყენა. რეზოლუციის ტექსტი, რომელიც აშშ-ს, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მიერ არის შეთავაზებული, კერი-ლავროვის შეთანხმებას ეფუძნება, თუმცა გულისხმობს ძალის გამოყენებას იმ შემთხვევაში, თუ ასადი დანაპირებს არ შეასრულებს. ასეთ მიდგომას კვლავ არ ეთანხმებიან რუსეთი და ჩინეთი. ამ პირობებში რეზოლუციის მიღება შეიძლება, ლამის უსასრულოდ გაიწელოს.

გუშინ სირიამ ნაწილობრივ შეასრულა მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, მას საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ქიმიური იარაღის მარაგის, განთავსების ადგილებისა და წარმოების საშუალებების შესახებ სრული მონაცემები ერთი კვირის ვადაში უნდა წარედგინა. ეს ვადა 21 სექტემბერს იწურებოდა. სირიამ ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას, რომლის შტაბბინაც ჰააგაშია განთავსებული, ამ მონაცემების ნაწილი გადასცა. შესაბამისად, ორგანიზაციამ გაურკვეველი ვადით გადადო აღმასრულებელი საბჭოს სხდომა, რომელიც რამდენიმე საათით ადრე სწორედ სირიის თემაზე 22 სექტემბრისთვის დაინიშნა. თავდაპირველი დღის წესრიგით მხოლოდ მოქმედების წინასწარი გეგმა უნდა განეხილათ. ახლა მათ უკვე შეუძლიათ, სირიის მიერ წარდგენილ მონაცემებზეც იმსჯელონ. ამ ორგანიზაციას არ უთქვამს, თუ ინფორმაციის რა ნაწილი მიიღო ოფიციალური დამასკოსგან, მხოლოდ ის გამოცხადდა, რომ დოკუმენტი საკმაოდ ვრცელია და ამჟამად თარგმნის ეტაპზეა. დამასკოს მოუწოდეს, სრული ინფორმაცია რაც შეიძლება მალე წარადგინოს.

პარასკევს საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა, რომელიც მალის დედაქალაქ ბამაკოში ახალარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციას ესწრებოდა, განაცხადა, რომ მისმა ქვეყანამ გადაწყვიტა, სირიის ოპოზიციის შეიარაღება კონტროლირებად ფარგლებში დაიწყოს. ევროკავშირმა სირიაში იარაღის მიწოდებაზე ემბარგო ოთხიოდე თვის წინ გაუქმა, თუმცა ჯერჯერობით ევროპის სახელმწიფოები სირიაში იარაღის გაგზავნისგან თავს იკავებდნენ, რადგან დიდი ალბათობა არსებობდა, ეს იარაღი „ალ ქაიდასთან" დაკავშირებული რადიკალი ისლამისტების ხელში აღმოჩენილიყო. ევროპელების პასიურობის ფონზე რუსეთს ასადის შეიარაღება არ შეუწყვეტია, ახლა კი, ეტყობა, დასავლეთი ბალანსის აღდგენას აპირებს. „სირიის თავისუფალი არმიის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გენერალი სალიმ იდრისი ამ საკითხების შესათანხმებლად პარიზში მომავალ კვირაში ჩავა. ის დიდი ხანია, მსოფლიო თანამეგობრობისგან იარაღს ითხოვს.

„სირიის თავისუფალ არმიას" ეს იარაღი, სავარაუდოდ, მხოლოდ ასადის წინააღმდეგ არ სჭირდება. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, სირიის ქალაქი აზაზი „ალ ქაიდასთან" დაკავშირებულმა ისლამისტურმა დაჯგუფებამ დაიკავა. აზაზი აქამდე სწორედ საერო მმართველობის მომხრე „სირიის თავისუფალი არმიის" ხელში იყო. ამ უკანასკნელებმა ქალაქი დატოვეს, თუმცა შემდეგ ორი საკონტროლო გამშვები პუნქტი დაიბრუნეს.

გუშინ ზომიერმა ოპოზიციამ განცხადება გავრცელა, რომლის თანახმადაც, სირიის ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში, სადაც ისლამისტი რადიკალების გავლენა ისედაც ძლიერი იყო, ასობით მებრძოლი, ჩამოყალიბებული შენაერთების ჩათვლით, „ალ-ქაიდას" დაქვემდებარებულ დაჯგუფებაში ოფიციალურად გაწევრიანდა. მათ თავიანთი იდეოლოგიური პოზიცია ღიად დააფიქსირეს. ამან შეიძლება, სირიაში ისედაც არეული სიტუაცია კიდევ უფრო გაართულოს.

პარასკევსვე „გარდიანისთვის" მიცემულ ინტერვიუში სირიის მთავრობის ვიცე-პრემიერმა ეკონომიკის საკითხებში კადრი ჯამილმა აღიარა, რომ სირიის სამოქალაქო ომმა მკვდარ წერტილს მიაღწია, როდესაც მოწინააღმდეგის დამარცხება არც ერთ მხარეს არ შეუძლია და ეს ბალანსი უახლოეს ხანებში არ დაირღვევა. აგრეთვე, მან პირველი მინიშნება გააკეთა იმაზე, რომ სამშვიდობო კონფერენციის „ჟენევა 2"-ის მუშაობის დაწყების შემთხვევაში დამასკომ შეიძლება, ცეცხლის შეწყვეტისკენ მოწოდება გააკეთოს. თუმცა ამისთვის კიდევ რამდენიმე პირობაა საჭირო.

ესეც მნიშვნელოვანი სიახლეა. აქამდე ასადის გარემოცვიდან მხოლოდ „ტერორისტების განადგურების" და ომში უპირობო გამარჯვების შესახებ განცხადებები ისმოდა.

ციფრული სათაგური

ია ვეკუა

ფიცხელა, ცელქა, ცქმუნა, კუდა და ფხორა ვაჟა ფშაველას „სათაგურის“ პერსონაჟები არიან. ხუთივე თაგვია, ესტატეს სახლის სამზარეულოში ცხოვრობენ, განჯინაში დაძვრებიან, ხან ყველის ნაჭერს მოიპარავენ, ხანაც - თხილსა და ნიგოზს. „სათაგურიც“ სწორედ ამ უკანასკნელის სიყვარულზეა - ნიგვზის სურნელით გაბრუებული და საკუთარი ვაჟკაცობის დამტკიცების სურვილს აყოლილი ფიცხელა ესტატეს მიერ ქალაქიდან ჩამოტანილი ახალი სათაგურის ტყვეობაში აღმოჩნდება. როგორ განვითარდება მოვლენები, ამიერიდან ამას არა მხოლოდ წავიკითხავთ, არამედ ვნახავთ კიდეც, რისთვისაც მხოლოდ ინტერნეტის გამოყენებაა საჭირო.

„სათაგურის“ შინაარსის გაცნობა ახლა უკვე მულტიმედიური წიგნითაცაა შესაძლებელი, რომელიც ბავშვებზე, ძირითადად 3-8 წლის მომხმარებელზეა გათვლილი, თუმცა უფროსი ასაკის მკითხველიც სიამოვნებით მოიხმარს, რაც უკვე პროდუქტის ინტერაქტიულობის დამსახურებაა. ეს გახლავთ ერთგვარი თამაში, როდესაც მომხმარებელი გარდა იმისა, რომ ილუსტრაციებითა და მცირე ტექსტით ამბავს ეცნობა, სიუჟეტის განვითარებაშიცაა ჩართული.

აღნიშნულ პროექტს ელექტრონული წიგნების მაღაზია lit.ge და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ ახორციელებენ. ვინაიდან პროექტი საბავშვოა, ტექსტებსაც შესაბამისს ირჩევენ და ვიზუალური მხარეც პატარა მკითხველისთვის მომხიბლავი და საინტერესოა (ილუსტრატორია მაია ბათუმაშვილი).

ინტერაქტიული წიგნის პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: ამბავი (ამ შემთხვევაში, „სათაგური“) რამდენიმე ილუსტრაციისგან შედგება. ყოველი ილუსტრაცია ცალკეულ სცენას ასახავს, რომელსაც მცირე ტექსტიც ახლავს. თუ მომხმარებელი იმდენად პატარაა, რომ კითხვა არ იცის, შესაძლებელია ტექსტის გახმოვანებული ვერსია მოისმინოს. მთავარი კი ის გახლავთ, რომ ყველა გვერდზე ანუ ყველა სცენაში ეკრანზე თითის შეხებით შესაძლებელია ან პერსონაჟის ამოძრავება ან მარტივი დავალების შესრულება, რათა წიგნი შემდეგ გვერდზე გადაიფურცლოს. ამრიგად მკითხველი იღებს არა მხოლოდ საკითხავს, არამედ მისი მონაწილეობით შექმნილ მცირე ანიმაციასაც.

ახლა კი „სათაგურის“ გადმოწერის მარტივ წესს გაგაცნობთ: თუ მისი გადმოწერა ანდროიდისთვის გსურთ, მაშინ play.google.com-ის საძიებოში ჩაწერეთ Sataguri და სტანდარტულ წესებს მიჰყევით, ხოლო iPhone-სა და iPad-სთვის iTunes-ის ჩართვა მოგიწევთ. აპლიკაციის გადმოწერა უფასოა, თუმცა მისი ინგლისურენოვანი ვერსია, რომელიც ძირითადად უცხოურ ბაზარზეა გათვლილი, ფასიანი გახლავთ.

მაია ბათუმაშვილის მიერ შექმნილი ანიმაციური სამყარო საკმაოდ საინტერესოა, თუნდაც იმ მხრივ, რომ მხატვარს ვაჟა ფშაველას ნაწარმოებში განვითარებული მოვლენები ორ პარალელურ სამყაროში გადააქვს. როდესაც ამბავი ადამიანების მხრიდან ვითარდება, მაშინ ყველა თაგვი ერთნაირია და მხოლოდ და მხოლოდ ცხოველების შთაბეჭდილებას ტოვებენ, თუმცა როგორც კი თაგვების თვალით დანახულ სამყარში ვინაცვლებთ, ყველაფერი იცვლება - ფიცხელა და კომპანია ინდივიდუალურ გარეგობას იძენენ, ტანსაცმელიც აცვიათ და თვითნაკეთი ტრანსპორტითაც გადაადგილდებიან.

ელექტრონული „სათაგური“, ისევე, როგორც ვაჟა ფშაველას ნაწარმოები, ესტატეს შინ დაბრუნების სცენით იწყება - საკმარისია ეკრანს თითი საჭირო ადგილას დავადოთ და ცხენი გაჭენდება, ბუ ფუღუროში შეიმალება, ციყვები თამაშს დაიწყებენ და ასე შემდეგ. შემდეგ სცენაში ასევე თითის ეკრანზე დაჭერით ვაღებთ ჭიშკარს, ვაკეთებთ თოვლის ბაბუას, აივანზე კი ბავშვები გამოგვყავს. მეექვსე გვერდზე უკვე თაგვების ამოძრავება გვიწევს, მომდევნოში კი ფიცხელას სათაგურში ვატყვევებთ, თუმცა ნუ გეშინიათ, ვაჟა ფშაველასთან ყველაფერი კარგად მთავრდება და ასეა აქაც...

„სათაგური“ მაღაზია lit.ge-სა და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მეორე ინტერაქტიული წიგნია. პირველი იყო შარშან შემოდგომაზე გამოშვებული „შოშია“ - იაკობ გოგოებაშვილის „მარადმწვანე ხეების“ მიხედვით მომზადებული აპლიკაცია, რომლის გადმოწერაც ზემოთ მოყვანილი წესებით შეგიძლიათ. „შოშიაც“ და აგვისტოში გაშვებული „სათაგურიც“ მომხმარებელში უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს. მაგალითად, ახალი აპლიკაცია მარტო ერთი თვის განმავლობაში ათასამდე მომხმარებელმა გადმოწერა.

მსოფლიოში ინტერაქტიული წიგნების კეთება ბოლო წლებში დაიწყეს. არსებობს სპეციალური გამომცემლობები, რომლებიც მხოლოდ ამ ტიპის პროდუქტს უშვებენ. პროდუქტი წარმატებულადაა შეფასებული, რადგან ის ბავშვს არა მხოლოდ ამბავს უყვება, არამედ კონცენტრაციასა და პერსონაჟების მიმართ თანაგრძნობის გამოხატვას ასწავლის.

აქვე დაგიანონსებთ, რომ „შოშიასა“ და „სათაგურის“ შემდეგ პროექტის ავტორები „ნაცარქექიას“ შემოგვთავაზებენ.

 სასკოლო სახელმძღვანელოები
საგამომცემლო ფასში

აბიტურიები, ტესტები, საატესტაციო წიგნები
და სხვა დამხმარე ლიტერატურა.

სასკოლო საკანცელარიო ნივთები

ვაჟა-ფშაველას 43,
„დელისის მეტროსთან“
პროფკავშირების კულტურის ცენტრში

595 11 32 33
571 11 32 33

შპს “თბილგვირაბმშენი” აცხადებს აუქციონს მის ბალანსზე რიცხული ფართის იჯარით გაცემის მიზნით

ლოტი №1 ვაჟა-ფშაველას გამზირსა და შავიშვილის ქ.№15-ის გადაკვეთაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა-50კვ.მ, საწყისი საიჯარო ფასი 1კვ.მ-5ლ დღგ-ს გათვალისწინებით, ბიჯი-0.50ლ, “ბე”-ერთი თვის საიჯარო ქირის ოდენობა 275ლ.

აუქციონი ჩატარდება 2013 წლის 26 სექტემბერს 12:00 სთ-ზე, შპს “თბილგვირაბმშენი”-ს ადმინისტრაციულ შენობაში.

განცხადებების მიღება წარმოებს შპს’თბილგვირაბმშენი”-ს ადმინისტრაციულ შენობაში. მის: ქ.თბილისი, ცაბაძის8, მესამე სართული, შესყიდვების განყოფილება, ყოველ სამუშაო დღეს 10.00სთ-დან 17.00სთ-მდე, აუქციონის ჩატარების დღეს 10.00სთ-დან 12.00სთ-მდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1. განაცხადი აუქციონში მონაწილეობაზე.

2. “ბე”-სა და აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

4.ახალი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

შპს “თბილგვირაბმშენი”-ს რეკვიზიტებია:

სს”საქართველოს ბანკი” ბ/კ BAGAGE22 ა/ა GE54BG0000000344173201

ტელ: 295-14-07, 597-90-11-00

შპს “თბილგვირაბმშენი”-ს ადმინისტრაცია

ს/ს „თელასი” აცხადებს

№18.09/ 88 ფასთა ღია გამოკითხვას გამანაწილებელი მოწყობილობის მონტაჟზე

1) ფასთა ღია გამოკითხვაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს, შემოთავაზებული საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს დოკუმენტაციაში განსაზღვრულ ტექნიკურ მოთხოვნებს.
2) დოკუმენტაცია ქართულ ან რუსულ ენებზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მოთხოვნისთანავე, სამუშაო საათებში 2013 წლის 24 სექტემბრის 18.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე – ქ. თბილისი, ვანის ქ. №3, ს/ს „თელასის” სათაო ოფისი, შესყიდვების განყოფილება.
3) დეტალური ინფორმაცია შესასყიდი ობიექტის შესახებ მოცემულია დოკუმენტაციაში.
4) ფასთა ღია გამოკითხვაში მონაწილეობის მსურველებმა, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სხვა მოთხოვნილი ინფორმაცია და წინადადებები დედნების სახით (ფასების ცხრილის და ტექნიკური აღწერილობის ელ. ვერსია ქართულ და რუსულ ენებზე დისკზეც) უნდა წარმოადგინონ ქართულ და რუსულ ენაზე, ერთი დახურული კონვერტით, თანდართული წერილით 2013 წლის 25 სექტემბრის 10:00-დან 13:00 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, ვანის ქ. №3, კანცელარია. საკონკურსო შემოთავაზება (მათ შორის ფასების ცხრილი) უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული პრეტენდენტი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ.
5) ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა დაუშვებელია.
6) საკვალიფიკაციო მონაცემების დეტალური ჩამონათვალი, ტექნიკური მოთხოვნები და ყველა სხვა პირობა მითითებულია დოკუმენტაციაში.
7) დოკუმენტაციის განხილვა მოხდება 2013 წლის 25 სექტემბრის 15:00 საათზე. მონაწილეებს, სურვილის შემთხვევაში, ეძლევათ შესაძლებლობა დაესწრონ კომისიის სხდომას.

დამატებითი ინფორმაცია პროცედურებთან დაკავშირებით შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ნომრებზე და ელ. მისამართზე +995 (32) 2779853, +995 (32) 2779855; megi.khosroshvili@telasi.ge

---

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

1. საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი (N802-GE) სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტის (ASP) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯების დასაფარად: **"მცხეთის რაიონში ლამი-მისაქციელის მაგისიტრალური არხის რეაბილიტაციის სამუშაოები, IV ეტაპი"** კონტრაქტით **N:** ***A/W/NCB-2013/08***

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. კონტრაქტების ხანგრძლივობაა **8 თვე.**

3. ქართულ ენაზე საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შეძენა დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ 2013 წლის 25 სექტემბრიდან (ყოველდღე 12:00-დან 16:00 საათამდე) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარდგენილი წერილობითი მოთხოვნისა და ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე 50 ლარის ოდენობის დაუბრუნებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე.

გადახდა უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვით შემდეგ რეკვიზიტებზე:

ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22;
ანგარიშის ნომერი / სახაზინო კოდი: 302004400;
გადახდის დანიშნულებაში აუცილებელია მიუთითოთ სადეპოზიტო ქვე-კოდი -4411.

4. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების გახსნის დღიდან 90 დღის განმავლობაში და მას უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების საბანკო გარანტია საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე *სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ვადით და ფორმის მიხედვით.* საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს ***2013 წლის 24 ოქტომბრის 12:00 საათისა,*** როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.

5. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი
თბილისი, მარშალ გელოვანის ?6, მე-3 სართული, ოთახი ?307
ელ.ფოსტა: l.durmishidze@moa.gov.ge
ტელ. +995 (32) 237-66-48.

დამოუკიდებელი ადგილობრივი ინჟინერი

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია დროებითი კონტრაქტის საფუძველზე (შემდგომში ხელშეკრულების შესაძლო გაგრძელებით) ერთი წლის ვადით აცხადებს მიღებას დამოუკიდებელი ადგილობრივი ინჟინრის ვაკანსიაზე. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია წარმოადგენს სახელმწიფო კუთვნილებაში არსებულ კომპანიას, რომელიც იმართება რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ.

საქართველოს მთავრობამ აზიის განვითარების ბანკისგან მიიღო სესხი ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული სესხის გარკვეული ნაწილი უნდა მოხმარდეს საკონსულტაციო მომსახურებას

დამოუკიდებელმა ადგილობრივმა ინჟინერმა წყალმომარაგების კომპანიისთვის უნდა შეასრულოს მრჩეველის როლი საინჟინრო სამუშაოებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტასა და გადაწყვეტილებების მიღებაში. მან მჭიდრო კავშირი უნდა იქონიოს დამოუკიდებელ საერთაშორისო ინჟინერთან, პროექტების მართვის და საერთაშორისო ურთიერთიბების დეპარტამენტთან, კომპანიის საპროექტო დეპარტმენტთან და შესყიდვების დეპარტამენტთან.

სამუშაოს მოცულობები:

დამოუკიდებელმა ადგილობრივმა ინჟინერმა წყალმომარაგების კომპანიასთან ერთად, მონიტორინგი უნდა განახორციელოს კონტრაქტორი ადგილობრივი თუ საერთაშორისო კომპანიების მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციაზე, წარმოდგენის ვადებზე, დეტალური ნახაზების და ანგარიშების ხარისხზე.

დეტალური აღწერილობა:

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარეგების კომპანიის გუნდთან ერთად ადგილობრივმა დამოუკიდებელმა ინჟინერმა უნდა განახორციელოს ქვემოთ აღნიშნული პუნქტები:

შეამოწმოს საერთაშორისო/ადგილობრივი საკონსულტაციო ფირმების მიერ წარმოდგენილი კონცეპტუალური პროექტები და გამოთქვას საკუთარი მოსაზრება თუ რამდენად მისაღებია პროექტის ტექნიკური და ეკონომიური მხარე.

შეამოწმოს კვლევის შედეგები რათა დარწმუნდეს რამდენად მისაღებია დეტალური საინჟინრო პროექტისთვის.

შეამოწმოს მიღებული საქონლის საბოლოო მაჩვენებლების ანალიზი, მოახდინოს მათი შედარება უწყისთან და შეადგინოს ხარჯთაღრიცხვა.

შეამოწმოს პროექტი, ნახაზები და უზრუნველყოს, რომ საერთაშორისო საკონსულტაციო ფირმამ წარმოადგინოს მშენებლობისთვის შესაფერისი ნახაზები;

სხვადასხვა კონტრაქტების სატენდერო დოკუმენტაციისთვის შეაოწმოს ხარჯთაღრიცხვები;

შეამოწმოს საერთაშორისო (ICB) და ადგილობრივი (NCB) სატენდერო კონტრაქტების სპეციფიკაციები;

შეამოწმოს წყლის/ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობებისთვის პროექტის შემუშავების კონტრაქტების სპეციფიკაციები და სატენდერო პარამეტრები;

წყალმომარაგების კომპანიას კონსულტაცია გაუწიოს საერთაშორისო საკონსულტაციო ფირმების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ხარისთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს აღნიშნულ კომპანიებს შეასწორონ პროექტი და ნახაზები.

განიხილოს/მოამზადოს მშენებლობის კონტრაქტის ცვლილებები;

განიხილოს მშენებლობის ზედამხედველობის კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ანგარიშები.

წყალმომარაგების კომპანიასთან ერთად შეაფასოს ტენდერში მონაწილეთა ტექნიკური წინადადებები და მოამზადოს შესაბამისი ანგარიშები.

მოამზადოს სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური ნაწილი.

წყალმომარაგების კომპანიას კონსულტაცია გაუწიოს ფიდიკის პირობების შესახებ.

ითანამშრომლოს სხვადასხვა სამთავრობო უწყებებთან, რათა წარმატებით გადაჭრას მშენებლობის პროცესში არსებული საკითხები და პრობლემები.

მოთხოვნები:

დამოუკიდებელ ადგილობრივ ინჟინერს უნდა ჰქონდეს ინჟინრის ხარისხი ან სხვა მსგავსი კვალიფიკაცია. სრულყოფილად უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას. სასურველია ჰქონდეს მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება მასშტაბური სამშენებლო პროექტების დაგეგმარებასა და განხორციელებაში. სასურველია თუ ეს პროექტები იქნება წყლის მაგისტრალური ხაზისა და გამანაწილებელი ქსელებისა და კანალიზაციის ქსელისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის სფეროში. საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება (აზიის განვითარების ბანკის სახელმძღვანელოს ცოდნა) ჩაითვლება უპირატესობად. იგი უნდა ერკვეოდეს კონტრაქტის ფიდიკის წესებში და საქართველოს მთავრობის რეგულაციებში. საჭიროა საერთაშორისო ორგანიზციებთან მუშაობის გამოცდილება.

უნარჩვევები:

ორგანიზაციული მიზნის მისაღწევად შეძლოს სამუშაოს დაგეგმარება და პრიორიტეტებად დაყოფა. შეეძლოს სასურველი ხარისხის მისაღწევად, სამუშაო პროცესის ეფექტური ორგანიზება

შეეძლოს მასთან ერთად მომუშავე ხალხთან ეფექტურად კომუნიკაცია და გამოამჟღავნოს საკითხის სხვადასხვა პერსპექტივაში აღქმის უნარი.

იყოს კომუნიკაბელური როგორც ტექნიკური ისე არატექნიკური საკითხების აღქმაში.

შეეძლოს საინჟინრო საკითხების შესახებ კოლეგებთან ერთად იდეების და გეგმების განვითარება.

შეეძლოს სხვისი მოსმენა და კონსულტაციის მიღება სხვისგან და ჯგუფთან ერთად მუშაობის დროს საჭირო უნარჩვევების იდენტიფიცირება.

შეეძლოს ტექნიკური ან საინჟინრო პრობლემების იდენტიფიკაცია.

შეეძლოს შესაბამისი ტექნიკური და საინჟინრო პრინციპების გამოყენებით არსებული პრობლემების ანალიზი.

შეეძლოს არსებული საინჟინრო პრობლემების ოპტიმიზაცია და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ გამოაგზავნოთ CV შემდეგ მისამართზე konkursi@water.gov.ge 2013 წლის 1 ოქტომბრამდე.

გთხოვთ, წერილის სათაურში მიუთითოთ პოზიციის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

გისურვებთ წარმატებას

ბუქარესტის შვიდკაცა

21 და 22 სექტემბერს ბუქარესტში იმართება ფირა აერის რაგბი 7-ის 2013 წლის გრან-პრის სერიის მორიგი, ფინალური ეტაპი. ბუქარესტის ტურნირში საქართველოს რაგბი 7-ს ნაკრები A პულში განითესა, სადაც, მასპინძლების გარდა, საქართველოს ნაკრები ინგლისის, უელსის, პორტუგალიისა და იტალიის ნაკრებებს დაუპირისპირდება.

ლიონის მსგავსად, ეს ტურნირი მსოფლიო სერიის ერთ-ერთი შესარჩევი ეტაპია.

A პული:

ინგლისი, უელსი, პორტუგალია, რუმინეთი, იტალია, საქართველო

B პული:

რუსეთი, საფრანგეთი, შოტლანდია, ესპანეთი, გერმანია, უკრაინა

საქართველოს შვიდკაცა ბუქარესტის ტურნირზე:

1. ბიძინა სამხარაძე
2. ლევან გოგოლაშვილი
3. რამაზ ხარაზიშვილი
4. რატი ნუცუბიძე
5. გიორგი კალმახელიძე
6. გიორგი ჯიმშელაძე
7. ბახვა კობახიძე
8. გიორგი შკინინი
9. ზურაბ ძნელაძე
10. დიმიტრი კალანდაძე
11. შავლეგ მახარაშვილი
12. თორნიკე ცერცვაძე

დედაქალაქების ტურნირი 2013

21 და 22 სექტემბერს, პარიზში, ჟან ბუანზე (Stade Jean-Bouin), სტადტ ფრანსეს სტადიონზე გაიმართება ყოველწლიური „დედაქალაქების ტურნირი“ (Tournoi des Capitales), რომელშიც დედაქალაქებისა და მსხვილი ქალაქების 15 წლამდე მორაგბეთა რაგბი 7-ის ნაკრებები იღებენ მონაწილეობას. ტურნირში თბილისის ნაკრების სახელით საასპარეზოდ გაემგზავრა საქართველოს 15 წლამდე ნაკრები.

დედაქალაქების ტურნირში, რომელიც საფრანგეთის რაგბის კავშირისა და პარიზის რაგბის კომიტეტის ორგანიზებით მიმდინარეობს, ქართველი 15 წლამდელები მეორედ მონაწილეობენ. პირველად საქართველოს U15 ნაკრებმა 2010 წელს იასპარეზა ტურნირში და ფინალში კეიპტაუნის ნაკრებთან დამარცხდა.

წელს ტურნირში მონაწილობენ: ბრიუსელი, ბუქარესტი, დუბლინი, ჰაიდელბერგი, თბილისი, ნაირობი, ბუენოს აირესი, ჟენევა, პარიზი (ილ დე ფრანსის ნაკრები), სიდნეი, ბრიჯენტი, სკოტიშ ბორდერსი, ვილნიუსი, კეიპტაუნი, ბრივი და ტულუზა.

საქართველოს U15 ნაკრები

1. რეზი ხარაზიშვილი (კაპ.)
2. ლუკა კალანდაძე
3. გიორგი კეკელიძე
4. საბა ჟორჟიკაშვილი
5. საბა ხურცილავა
6. აჩიკო ღონღაძე
7. საბა მინდიაშვილი
8. თედო აბჟანდაძე
9. მიხეილ შუბითიძე
10. დავით მარგველანი
11. გიორგი კეპულაძე
12. ნიკა ქართველიშვილი

rugby.ge

ზვიად სიჭინავა: „ევრო 2020-ის მასპინძლობისთვის ჯერ მზად არ ვართ“

პირველი გვერდიდან

ის მდგომარეობა, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაშია, არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ევროპის ჩემპიონატს ვუმასპინძლოთ. აქ საუბარი იყო არა ერთ თამაშზე, არამედ ერთი ჯგუფის მასპინძლობაზე. ჯგუფი კი ოთხი გუნდი და ექვსი თამაშია, რასაც, სულ მცირე, ორი სტადიონი, ოთხი სავარჯიშო მოედანი და სხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსი სჭირდება. ჩვენ მხარი დავუჭირეთ რეგიონულ პრინციპს და იმედი გვაქვს, ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგები მიიღებენ ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას, რადგან ბაქოში ყველაფერი მზადაა. ქალაქი უმაღლეს დონეზეა განვითარებული - სტადიონები, სასტუმროები, აეროპორტი და სხვა...

თუმცა, ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვან სხვა თემებზეც იყო სერიოზული საუბარი. იანვარში, როცა კიდევ ერთხელ შევიკრიბებით, არ არის გამორიცხული, ქართველი გულშემატკივრისთვის საინტერესო და სასიხარულო სიურპრიზით დავბრუნდეთ. საუბარია მაღალი დონის ერთ-ერთ ტურნირზე. იმედი გვაქვს, უეფა ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტს.

დავუბრუნდეთ ევრო 2020-ს. ამ თემაზე, ცხადია, ყველაზე დიდხანს ვმსჯელობდით. შემიძლია გითხრათ ჩემი ვარაუდი: ჩემპიონატს აუცილებლად წაიღებენ გერმანიის, თურქეთის, იტალიის, ესპანეთის, პორტუგალიის, ინგლისის, ჰოლანდიის, სკანდინავიის ქვეყნებიდან ერთ-ერთისა და აზერბაიჯანის ქალაქები. ბალტიის ქვეყნებმაც უარი თქვეს. ისევე როგორც ჩვენ, ისინიც არ არიან მზად ასეთი დონისა და მასშტაბის ტურნირის ჩასატარებლად.“

სფფ-ის პრესსამსახური

ფუტკარაძე მსოფლიო ჩემპიონატს პირველივე შეხვედრაში გამოეთიშა

ბუდაპეშტში დაწყებული ბერძენ-რომაელთა მსოფლიო ჩემპიონატი საქართველოს ნაკრებისთვის წარუმატებლად დაიწყო. უმსუბუქესი წონის (55 კგ.) ქართველი წარმომადგენელი ბაჩანა ფუტკარაძე მისთვის სადებიუტო მსოფლიო პირველობას პირველივე შეხვედრაში გამოეთიშა. ქართველ ფალავანს, რომელსაც არათუ მსოფლიოს ან ევროპის პირველობაზე, არამედ საერთაშორისო ტურნირებზე ასპარეზობის გამოცდილებაც არა აქვს, კენჭისყრის შედეგებმა მოწყალების თვალით გადმოხედა - პირველ წრეში თავისუფალი იყო, მეორეში კი უცნობ ჰაიტემ აჰმედ ფაჰმი მაჰმუდს შეხვდა, მაგრამ ეგვიპტელ ახალბედასთან პირწმინდად დამარცხდა - 0:8. ბაჩანა ფუტკარაძის ბედად, მერვეფინალს ვერ გასცდა ქართველის მომგები ეგვიპტელი, რამაც ფუტკარაძეს ბრინჯაოს მედლისკენ მიმავალი გზა გადაუკეტა.

დღეს მედლებისთვის ბრძოლას დაიწყებენ ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი და ევროპის ჩემპიონი რევაზ ლაშხი (60 კგ.), გიორგი ცირეკიძე (84 კგ.) და ვასილ იმერლიშვილი (96 კგ.). ხვალ ხალიჩაზე გავლენ საჩინო დავითაია (66 კგ.) და ილია გულბათაშვილი (74 კგ.), ხოლო 22 სექტემბერს - ლევან არაბული (120 კგ.).

გურული ძვრები სპორტში

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი ლაშა ლომაძე, რომელიც შარშან საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ) გურიის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელად აირჩიეს, შეძლებისდაგვარად ცდილობს, ეს კუთხე აქტიურად ჩართოს სპორტულ ცხოვრებაში. მართალია, არცთუ დიდი ბიუჯეტი ბევრის გაკეთების საშუალებას არ იძლევა, მაგრამ რეგიონის რაღაც დონეზე გამოცოცხლება მაინც ხერხდება.

სასიამოვნო ძვრებს ისიც ადასტურებს, რომ სეოკ-ის გურიის რეგიონული ორგანიზაციის ინიციატივითა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან ერთად, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსებით, ურეკში მხარის წარმატებულ სპორტსმენთა შეკრება მიმდინარეობს, რომელიც 12 დღეს გასტანს. ურეკში სპორტული კომპლექსი წლეულს აშენდა და მომსახურების მაღალი დონით გამოირჩევა. ნიშანდობლივია, რომ ზღვისპირეთში წვრთნებს გურიიდან ის ახალგაზრდა სპორტსმენებიც გადიან, რომლებიც 2015 წელს თბილისში დაგეგმილი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის სპორტის სხვადასხვა სახეობებში საქართველოს ნაკრების კანდიდატებად მიიჩნევიან. ლაშა ლომაძეს თქმით, ახალგაზრდა სპორტსმენებს სავარჯიშოდ იდეალური პირობები აქვთ. გარდა ამისა, მსგავსი ტიპის შეკრებები სისტემატურ სახეს მიიღებს.

20 სექტემბერს ურეკის ბაზა სეოკ-ის პირველმა ვიცეპრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა მოინახულა, შემდეგ კი, ლაშა ლომაძესა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ირაკლი სირაძესთან ერთად, ოზურგეთში რეგიონული ოლიმპიური ცენტრის მშენებლობა დაათვალიერა. აღნიშნული ცენტრი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით შენდება და ფუნქციონირებას მიმდინარე წლის ბოლოსთვის დაიწყებს.

geonoc.org.ge

ლევან კობიაშვილი 2014 წელს კარიერას დაასრულებს

ბერლინის „ჰერტას“ 36 წლის ქართველ ლეგიონერს ლევან კობიაშვილს კარიერის დასრულება განუზრახავს. ქართველმა მცველმა გერმანულ „შპორტ ბილდთან“ საუბარში აღნიშნა, რომ ეს სეზონის ბოლოს მოხდება. კობიაშვილს ბერლინურ კლუბთან ხელშეკრულება 2014 წლის ზაფხულამდე აკავშირებს: „საფეხბურთო კარიერის ბოლო სეზონს ვატარებ, ზაფხულში კარიერას დავასრულებ. მანამდე კი, დარწმუნებული ვარ, „ჰერტას“ კიდევ გამოვადგები. კარიერის დასრულებამდე ხუთ-ათ მატჩს გავმართავ.

მართალია, ფეხბურთში დარჩენა მსურს, მაგრამ არა მგონია, საინტერესო წინადადებები მივიღო“.

ქართველ ლეგიონერს საფეხბურთო კარიერის დიდი ნაწილი გერმანიაში აქვს გატარებული. 1998 წლიდან „ფრაიბურგსა“ და „შალკეში“ თამაშობდა, ახლა კი „ჰერტას“ ღირსებას იცავს. მისი სანაკრებო კარიერა 100 მატჩს და 12 გოლს ითვლის.

გიორგი ცინცაძემ „დონეცკთან“ კონტრაქტი გააფორმა

საქართველოს ეროვნული ნაკრების გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე უკრაინულ „დონეცკში“ ჩაირიცხა. ცინცაძემ გასული სეზონიც უკრაინაში - კიევის „ბუდიველნიკში“ გაატარა და ამ გუნდს ჩემპიონობის მოპოვებაში დაეხმარა. ცინცაძე კიეველთა გუნდში საშუალოდ 9.1 ქულას, 3.4 პასს, 2.6 მოხსნას და 1.1 ჩაჭრას აგროვებდა.

ცინცაძემ შესანიშნავად ჩაატარა სლოვენიაში მიმდინარე ევროპის ჩამპიონატი. ის საქართველოს ნაკრების ლიდერი იყო არაერთ მატჩში. მისი საშუალო მაჩვენებლები კი ასეთი იყო: 14.4 ქულა, 2.6 მოხსნა, 5.8 პასი. ცხადია, ცინცაძემ გუნდების ინტერესიც დაიმსახურა. ყველას კი „დონეცკმა“ აჯობა, რომელმაც ქართველ უკანახაზელს კონტრაქტი გაუფორმა.

ხელშეკრულება გუშინ გაფორმდა, როცა ცინცაძე დონეცკში ჩავიდა და სამედიცინო შემოწმება გაიარა. ეს გუნდი გიორგისთვის უცხო არ არის - ის „დონეცკში“ 4 წლის წინ თამაშობდა, თუმცა, არ დასცალდა. მისვლიდან ორიოდე თვეში ფინანსური კრიზისის გამო ლეგიონერებმა გუნდი დატოვეს.

„დონეცკი“ გასულ სეზონში პლეი ოფში კი გავიდა, მაგრამ მომავალ ფინალისტ „აზოვმაშთან“ მერვედფინალურ სერიაში 1:4 დამარცხდა.

gbf.ge

თასის მერვედფინალები 25 და 26 სექტემბერს გაიმართება

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის მედიაცენტრში საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის 1/8 ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა. წილისყრას თასის გათამაშებაში მონაწილე კლუბების უმრავლესობის წარმომადგენელი ესწრებოდა.

1/8 ფინალურ მატჩებში, რომლებიც **25 და 26 სექტემბერს** გაიმართება, გუნდები ასე დაწყვილდნენ:

ტორპედო (ქუთაისი) - სპარტაკი (ცხინვალი)
ლოკომოტივი (თბილისი) - ჩიხურა (საჩხერე)
შუქურა (ქობულეთი) - ვიტ ჯორჯია
კოლხეთი (ხობი) - დინამო (თბილისი)
მეტალურგი (რუსთავი) - კოლხეთი (ფოთი)
სიონი (ბოლნისი) - ზესტაფონი
დილა (გორი) - დინამო (ბათუმი)
გურია (ლანჩხუთი) - მერანი (მარტვილი)

თასის 1/8 ფინალის განმეორებითი მატჩები **30-31 ოქტომბერს** ჩატარდება.

სფფ-ის პრესსამსახური

PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN

ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE

21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00

elite 2013 MODEL LOOK GEORGIA

IC MODEL MANAGEMENT

MUSIC BOX kikala studio 103.4 FM MAX PROM OUtdooR.ge MSG ADSSPRINT McCANN Curves
myVIDEO.GE LUXURY ego GHN ANGEL 24 saati allmovies.ge Pink